სახელმწიფო აუდიტის სამსახური

გენერალური აუდიტორის ბრძანება

№ 16123/21

18/10/2018

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2017 წლის 28 დეკემბრის №11734/21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2017 წლის 28 დეკემბრის №11734/21 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2018 წლის 17 ოქტომბრის № 15393/30 ოქმი.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

2018

აუდიტორული საქმიანობის 2018 წლის გეგმა

დეკემბერი, 2017

სარჩევი

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა 2

1. შეჯამება 2
2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი 3

ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა 5

1. ფინანსური აუდიტები 5
2. უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტები 7
3. შესაბამისობის თემატური აუდიტები 8
4. ეფექტიანობის აუდიტები 14

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა

1. შეჯამება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რისკზე დაფუძნებული მიდგომით 2018 წლის აუდიტორული გეგმა განისაზღვრა **106 აუდიტით**[1], რომლითაც **დაიფარება ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 86%**. 2017 წელთან შედარებით, 22 აუდიტით იზრდება რაოდენობა (26%-ით), ხოლო 5%-ით იზრდება ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი.

გეგმის მაჩვენებლები	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
აუდიტების რაოდენობა	84	106
დაფარვის მაჩვენებელი (თანხობრივი)	9,463,759,000	11,112,289,000
დაფარვის მაჩვენებელი (პროცენტი)	81%	86%

აუდიტების განაწილება აუდიტის ტიპის მიხედვით შემდეგნაირია:

რაოდენობა აუდიტის ტიპების მიხედვით	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
ფინანსური აუდიტი	32	25
შესაბამისობის აუდიტი	24	61
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	19	0
ეფექტიანობის აუდიტი	9	20

2017 წელთან შედარებით მცირდება ფინანსური აუდიტების რაოდენობა, თუმცა იზრდება ფინანსური აუდიტებით თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი. რაოდენობის შემცირება გამოწვეულია მთავრობის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებებით (სამინისტროების გაერთიანებით).

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეცვალა მიდგომა და აღარ ჩატარდება კომბინირებული *ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.*

გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის ექსპერტების მიერ SAI-PMF-ის[2] შეფასების მიხედვით მიღებული რეკომენდაციები. შედეგად:

- 2018 წლის გეგმაში განისაზღვრა ორი სისტემური შესაბამისობის აუდიტი;
- უზრუნველყოფილია ეფექტიანობის აუდიტებით სექტორული დაფარვის მაჩვენებელი.

2017 წელთან შედარებით იზრდება ეფექტიანობის აუდიტის, როგორც რაოდენობა (9-დან 20-მდე), ასევე წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში (11%-დან 19%-მდე). ასევე აღსანიშნავია, რომ ეფექტიანობის აუდიტებით იფარება თითქმის ყველა სექტორი (10-დან 8 სექტორი), რომელიც განსაზღვრულია საჯარო ფინანსების ფუნქციონალური კლასიფიკაციის (COFOG) მიხედვით.

სამსახურის 2018-2022 წლების განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულია აუდიტის მართვის სისტემის გამოყენებით ჩატარებული აუდიტების ეტაპობრივი ზრდა. აღნიშნული სისტემის დანერგვა საშუალებას მისცემს სას-ს, ცენტრალიზებულად მართოს აუდიტთან დაკავშირებული საქმიანობა, ინფორმაცია და

[1] 5 აუდიტი წარმოადგენს გარდამავალი ტიპის აუდიტს, რომელიც დამთავრდება 2019 წელს.

[2] უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საქმიანობის შეფასების ჩარჩო, რომლის მიხედვითაც სას-ის საქმიანობა შეფასდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAIs) მიმართებით.

პროცესები. 2018 წელს განსაზღვრულია სისტემის დახმარებით 12 აუდიტის ჩატარება, ხოლო 2020 წლისათვის იგეგმება სას-ის აუდიტორული საქმიანობის აღნიშნული სისტემით სრულად განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვები. 2017-2018 წლებში მიღებული 56 მომართვიდან 9 მომართვა გათვალისწინებულ იქნა 2017 წლის, ხოლო 13 - 2018 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში.

2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განისაზღვრება ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის და აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტების მიხედვით. გეგმის მიზანია, სას–ის აუდიტორული საქმიანობა ორიენტირებული გახადოს საჯარო ფინანსების მნიშვნელოვან საკითხებზე და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის არსებული რესურსების სწორ განაწილებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესში ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებიდან მიღებულ მოსაზრებებსა და ინიციატივებს და ასევე, აუდიტების შერჩევის რისკებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმებს. დაგეგმვის პროცესში სამსახური ხელმძღვანელობს აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის რისკებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, რომლის საბოლოო მიზანია:



- საჯარო სექტორის განსაკუთრებული მნიშვნელობის სფეროებში აუდიტის პოტენციური თემებისა და უწყებების სწორი შერჩევა;
- აუდიტის ობიექტებთან კომუნიკაციის პლატფორმის წინასწარ მომზადება;
- თითოეული აუდიტისათვის შესაბამისი და მიღწევადი მიზნების განსაზღვრა;
- სას–ის მუშაობის გამჭვირვალობისა და ორგანიზებულობის დახვეწა.

აუდიტორული საქმიანობის რისკზე დაფუძნებული მიდგომა:

აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის მეთოდოლოგია გულისხმობს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე უწყების/პროგრამის მნიშვნელობის ზეგავლენისა და გამოვლენილი რისკების რეალიზების ალბათობის გათვალისწინებას.



ზეგავლენა წარმოადგენს რისკის რეალიზების შემთხვევაში მისი შედეგების მასშტაბის (სიმწვავის) საზომს, ხოლო **ალბათობა წარმოადგენს იდენტიფიცირებული რისკების რეალიზების ალბათობას**. ცვლადები **(ზეგავლენა / ალბათობა)**, თავის მხრივ, გაინგარიშება რამდენიმე კრიტერიუმის საფუძველზე:

- ზეგავლენის შეფასება ეყრდნობა საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და საზოგადოებისათვის უწყების/პროგრამის მნიშვნელობის შეფასების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ასპექტებს.
- რისკების რეალიზების ალბათობა ფასდება, ერთი მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მხარჯავი დაწესებულებების ინსტიტუციური შეფასებისა და საჯარო სექტორის ფინანსურ სისტემაში მიმდინარე ცვლილებების, მეორე მხრივ, სამსახურის აუდიტორული საქმიანობის შედეგად გამოვლენილი გარემოებებისა და გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების ხარისხის გათვალისწინებით.

ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა

1. ფინანსური აუდიტები

ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ფინანსური აუდიტების შედეგად მიღებული ინფორმაცია აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მოხსენებაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური კანონით ვალდებულია წარუდგინოს პარლამენტს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშზე მოხსენება, მთავრობის მიერ ანგარიშის მომზადებიდან 45 დღეში (არა უგვიანეს 15 მაისისთვის).

აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ფინანსური აუდიტის საქმიანობის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტისა და მხარჯავი დაწესებულებების 85%-იანი და მეტი დაფარვის უზრუნველყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შედეგად იგეგმება 2018 წლის დაფარვის მაჩვენებელის გაზრდა 2017 წლის 81%-იდან 86%-მდე.

2018 წელს განსაზღვრულია **25 ფინანსური აუდიტის ჩატარება:**

- 14 ფინანსური აუდიტი ცენტრალურ ბიუჯეტში;
- 5 ფინანსური აუდიტი აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტში;
- 5 ფინანსური აუდიტი აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტში;
- 1 ფინანსური აუდიტი მუნიციპალურ ბიუჯეტში.

ფინანსური აუდიტებით **ჯამურად დაიფარება 11.1 მილიარდი ლარი** (საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ჩათვლით), ანუ **ნაერთი ბიუჯეტის 86%**. აქედან:

- 87%-ით დაიფარება ცენტრალური ბიუჯეტი;
- 98%-ით დაიფარება აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტი;
- 42%-ით დაიფარება აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტი;
- 60%-ით დაიფარება მუნიციპალური ბიუჯეტები.

#	ხელისუფლება	დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი
1	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2017 წელი	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
2	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2017 წელი	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
3	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო[3]	2017 წელი	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
4	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2017 წელი	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხეობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
5	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	2017 წელი	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხეობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

[3] გათვალისწინებულია მოქალაქის წერილი (N2624/01, 24.04.2017).

6	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2017 წელი	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხეობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
7	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	2017 წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
8	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	2017 წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
9	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	2017 წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
10	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	2017 წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
11	ცენტრალური ბიუჯეტი	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2017 წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
12	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2017 წელი	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
13	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო[4]	2017 წელი	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
14	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2017 წელი	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
15	აჭარის ა/რ ბიუჯეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
16	აჭარის ა/რ ბიუჯეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
17	აჭარის ა/რ ბიუჯეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
18	აჭარის ა/რ ბიუჯეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
19	აჭარის ა/რ ბიუჯეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციები	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
20	აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ა/რ
21	აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი	მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ა/რ
22	აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატი და პროგრამები	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ა/რ
23	აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აპარატი და პროგრამები	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ა/რ
24	აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი	აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ა/რ
25	მუნიციპალური ბიუჯეტი	ქ. თბილისის მერია	2017 წელი	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი

[4] გათვალისწინებულია მოქალაქის წერილი (N5958/02, 29.08.2017).

ქვეყანაში მიმდინარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) რეფორმის ფონზე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რაც გამოიხატება 2021 წელს მთავრობის მიერ მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტის ჩატარებაში. აღნიშნული პირველ რიგში მოითხოვს ინდივიდუალურ მხარჯავ დაწესებულებებში მიმდინარე ფინანსური აუდიტების დროულ დასრულებას და წარდგენას პარლამენტისათვის.

ზემოაღნიშნული გამოწვევისა და საკანონმდებლო მოთხოვნების საპასუხოდ, საპილოტე რეჟიმში 2018 წლის დასრულებამდე სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს 2018 ფისკალური წლის ფინანსური აუდიტების დაწყებას, რაც უზრუნველყოფს მათ დროულ დამთავრებას 2019 წელს. გარდამავალი ფინანსური აუდიტები ჩატარდება 4 სამინისტროში, რაც ასევე განპირობებულია ამ სამინისტროებში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებით (სამინისტროების გაერთიანება).

#	ხელისუფლება	დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი
1	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	2018 წელი	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხეობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
2	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	2018 წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
3	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	2018 წელი	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
4	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	2018 წელი	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

2. უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტები

სისტემური შესაბამისობის აუდიტების ჩატარება აუდიტის სამსახურის ახალი მიმართულებაა, რაც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენას.

2018 წლის გეგმით განისაზღვრა 2 სისტემური (ჰორიზონტალური) შესაბამისობის აუდიტი:

- სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემური საკითხები;
- სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხები.

2.1. სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემური საკითხები:

<u>აუდიტის კითხვები:</u>

1. შერჩეულ უწყებებში საჭიროებებისა და შესყიდვების გეგმის განსაზღვრის პროცედურები.
2. შერჩეულ შესყიდვებში ბაზრის კვლევის სავალდებულო მოთხოვნების შესწავლა საკანონმდებლო დონეზე.
3. შერჩეულ უწყებებში შესყიდვის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების განსაზღვრა:
    - ავტოსატრანსპორტო საშუალებები;
    - ელექტროტექნიკა;

- რბილი ავეჯი.

4. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და ავტოტექმომსახურება:
    - ქვეკონტრაქტორების შესწავლა (ქვეკონტრაქტორების კვალიფიკაცია და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ქვეკონტრაქტორის როგორც შემსრულებლის იდენტიფიცირება).
5. რეკომენდაციების გაცემა კანონის გასაუმჯობესებლად.

2.2. ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხები

<u>აუდიტის კითხვები:</u>

1. მხარჯავ დაწესებულებებში ავტოპარკების ოპტიმიზაციის გეგმების[5] შესწავლა და მათი შესაბამისობა მთავრობის N121 დადგენილებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან.
2. საკანონმდებლო სისუსტეების შესწავლა - კანონდებლობით დაურეგულირებელი საკითხები:
    - უსასყიდლოდ გადაცემა (მათ შორის, trade-in);
    - საწვავის ლიმიტების განსაზღვრა;
    - საწვავის გამოყენების პროცესში კონტროლის მექანიზმები;
    - ავტოტრანსპორტის ჩანაცვლების წინაპირობები (თუ როდის, რა შემთხვევაში უნდა მოხდეს ავტომობილის ჩანაცვლება);
    - ავტოტრანსპორტის მიზნობრივად გამოყენების რეგულირება;
    - დაზღვევის არსებობა და პირობები.
3. ავტოპარკის ექსპლუატაციაზე (მოვლა-შენახვა, სათადარიგო ნაწილები და ა.შ.) გაწეული ხარჯების რაციონალურობის შესწავლა - რაციონალურობის შესაფასებლად შესადარისობა მსგავსი ტიპის სხვადასხვა უწყებას შორის.
4. საჭიროებების განსაზღვრისა და ავტოპარკის ოპტიმიზების გამართული პროცედურების შესწავლა - წლის განმავლობაში გამოუყენებელი/იშვიათად გამოყენებადი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მათი მართვა.

3. შესაბამისობის თემატური აუდიტები

შესაბამისობის აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის ოპერაციებისა და საქმიანობის შესაბამისობის შეფასება კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან და ორგანიზაციულ პოლიტიკებსა და პროცედურებთან. შესაბამისობის აუდიტი საშუალებას იძლევა ყურადღება გამახვილდეს უფრო მაღალი რისკის მატარებელ და აქტუალურ თემებზე.

2018 წლის აუდიტორული გეგმით განისაზღვრა 59 შესაბამისობის აუდიტის ჩატარება, აქედან:

- ცენტრალური ხელისუფლების დონეზე - 19 შესაბამისობის აუდიტი;
- აჭარის ა/რ-ში - 8 შესაბამისობის აუდიტი;
- აფხაზეთის ა/რ-ში - 6 შესაბამისობის აუდიტი;
- მუნიციპალიტეტებში - 26 შესაბამისობის აუდიტი.

[5] 2017 წლის აპრილის მდგომარეობით 4 სამინისტროში: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

#	დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი
1	საქართველოს ფინანსთა სამინიტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, შრომის ანაზღაურება და ძირითადი აქტივების მართვა	2016-2017 წლები	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
2	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი - განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები და შრომის ანაზღაურება	2016 -2017 წლები	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
3	სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური - განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები,შრომის ანაზღაურება და ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისვთს სამედიცინო და ერთჯერადი დახმარების უზრუნველყოფა	2016-2017 -წლები	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
4	სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონების განკარგვა და სახელმწიფო შესყიდვები	2016-2017 წლები	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
5	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – „საქსტატის“ მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები და შრომის ანაზღაურება	2016-2017 წლები	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
6	„საქაერონავიგაცია“ - შემოსავლები, ხარჯები	2017 წელი	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
7	საქართველოს ფოსტა - შემოსავლები, ქონების მართვა	2017 წელი	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
8	შპს - აეროპორტების გაერთიანება	2017 წელი	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
9	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	2014-2017 წლები	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
10	შპს "გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი*[6]	2017-2018 წლები	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
11	სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების 2015-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი[7]	2015-2017 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
12	ა(ა)იპ - „ქართული ჭიდაობის ფედერაციის“ მიერ განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

[6] *-ით აღინიშნება გარდამავალი აუდიტები, რომლებიც დასრულდება 2019 წელს.

[7] გათვალისწინებულია მოქალაქის წერილი (N 3687/01, 16.04.2018).

13	საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და საკალათბურთო კლუბ ,,ბასკონიას“/ფონდ „5+11“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი[8]		სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
14	ა(ა)იპ - „საქართველოს რაგბის კავშირის“ მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2016-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი*	2016-2018 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
15	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი[9]	2014-2017 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
16	სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძირითადი აქტივებისა და არამწარმოებლური აქტივების მართვა	2015-2016 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
17	სსიპ - „112-ის“ მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლების განკარგვა	2017 წელი	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხეობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
18	სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა	2017 წელი	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხეობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
19	სსიპ - შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	2017 წელი	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხეობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
20	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი - საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2016-2017 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის არ
21	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის არ
22	ქ. ბათუმი - სოციალური უზრუნველყოფა	2016-2017 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
23	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
24	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
25	ქედის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	2016-2017 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
26	შუახევის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	2017 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
27	ხულოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	2016-2017 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ა/რ
28	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და მთავრობის სარეზერვო ფონდის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა	2017 წელი	აფხაზეთის ა/რ აუდიტის დეპარტამენტი

[8] გათვალისწინებულია მოქალაქის წერილი (N1706/01, 16.02.2018).

[9] გათვალისწინებულია მოქალაქის წერილი (N927101, 24.10.2016).

29	შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სახსრების ხარჯვა და მატერიალური ფასეულობების განკარგვა	2015-2017 წლები	აფხაზეთის ა/რ აუდიტის დეპარტამენტი
30	სსიპ „აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის“ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა	2015-2017 წლები	აფხაზეთის ა/რ აუდიტის დეპარტამენტი
31	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა	2017 წელი	აფხაზეთის ა/რ აუდიტის დეპარტამენტი
32	აღმოსავლეთ საქართველოში, ზემო აფხაზეთში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა	2017 წელი	აფხაზეთის ა/რ აუდიტის დეპარტამენტი
33	სსიპ - კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ -მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის „თეთრი ტალღის“, სსიპ - აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას, სსიპ - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა და მატერიალური ფასეულობების გამოყენება	2017 წელი	აფხაზეთის ა.რ. აუდიტის დეპარტამენტი
34	აბაშის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
35	ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
36	ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
37	ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
38	თიანეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
39	კასპის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
40	ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

			ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
41	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
42	ონის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
43	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
44	სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
45	საჩხერის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
46	სენაკის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
47	ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
48	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
49	ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
50	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
51	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
52	ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
53	ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი

54	ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
55	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის (პროგრამის კოდი: 02 05) პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი	2015-2016 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
56	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამის კოდი: 04 00) პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი	2015-2016 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
57	2016 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროებში დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელების, დარღვევათა გამოვლენის და კანონმდებლობის შესაბამისად მათზე რეაგირების, დარღვევათა თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების შესაბამისობის აუდიტი	2015-2016 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
58	ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი	2015-2016 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
59	თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი

4. ეფექტიანობის აუდიტები

ეფექტიანობის აუდიტი თანამედროვე საჯარო სექტორის აუდიტის ერთ-ერთი სახეა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტი მიზნად ისახავს შეაფასოს, რამდენად იქნა მიღწეული გადახდილი ფასის შესაბამისი ღირებულება. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება ხელს უწყობს საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას, მათ მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოყენებას.

ეფექტიანობის აუდიტის თემების განსაზღვრისას, სას მიზნად ისახავს აუდიტორული საქმიანობის სექტორული დაფარვის გაზრდას, რაც გულისხმობს მოიცვას ყველა ის სფერო, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საჯარო ფინანსების მართვაზე ან/და ხასიათდება მაღალი რისკით.



2017 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 9 ეფექტიანობის აუდიტი, რაც მთლიანი აუდიტის რაოდენობის (84) 11%-ია.

2018-2022 განვითარების სტრატეგიის მიხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს ეტაპობრივად გაზარდოს ეფექტიანობის აუდიტის რაოდენობა, კერძოდ, ეფექტიანობის აუდიტის მიზნობრივი მაჩვენებელი 2018 წელს იქნება 20 აუდიტი, რაც 2018 წლისათვის განსაზღვრული მთლიანი აუდიტორული საქმიანობის (106 აუდიტის) 19%-ს მიაღწევს. 2017 წელთან შედარებით იზრდება ეფექტიანობის აუდიტის, როგორც რაოდენობა (9-დან 20-მდე), ასევე წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში (11%-დან 19%-მდე).

#	დასახელება	სფერო	დეპარტამენტი
1	მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების მართვის ეფექტიანობის აუდიტი*	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
2	ქ. თბილისისა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანობის აუდიტი*	განათლება	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
3	ქალაქ ბათუმში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდასაჭერად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
4	საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული გზების მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

5	აზიური ფაროსანასა და სხვა მავნებლებლების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
6	„შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP)“ ეფექტიანობის აუდიტი	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
7	ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
8	ქალაქ თბილისის განაშენიანების პროცესის მართვა	ეკონომიკური საქმიანობა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
9	სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
10	ქვეყანაში ანტიკორუფციული გარემოს უზრუნველყოფა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
11	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უძრავი ქონების მართვის ეფექტიანობის აუდიტი	ეკონომიკური საქმიანობა	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
12	ძალოვანი სისტემის უნიფორმით უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობა	თავდაცვა	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
13	საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებები	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
14	სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა“ და სსიპ „პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი*	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
15	მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მზადყოფნა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი
16	განათლების მართვის ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის აუდიტი	განათლება	ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და ადმინისტრირების დეპარტამენტი
17	სახელმწიფო პენსიის მართვის პროცესის ეფექტიანობის აუდიტი	სოციალური დაცვა	ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და ადმინისტრირების დეპარტამენტი
18	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის აუდიტი	სოციალური დაცვა	ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და ადმინისტრირების დეპარტამენტი
19	უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობა	განათლება	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
20	ინფექციის პრევენცია და კონტროლი	ჯანმრთელობის დაცვა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი